09 მარტი 2023 წელი

წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი N3

2023 წლის 9 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის ოქმი. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რომან კვარაცხელია, თენგიზ ფ[illegible]ია, მამუკა მიქავა, ომარ ქარდავა.

დაწყების დრო: 11:[00]-სთ.

დასრულების დრო: 11:[10]-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული [illegible]ქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **ალბერტ ჭანია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ

მოისმინეს1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა, ამავე სამსახურის უფროსის მ/შ-მა ალბერტ ჭანიამ(ანგარიში თან ერთვის).

მომხსენებელს, კომისიის წევრმა თენგიზ ფიფიამ კითხვით მიმართა, თუ რა სამუშაოები გასწია ადმინისტრაციული სამსახურის ახლადშექმნილმა ინსპექტირების განყოფილებამ, რამდენ თანამშრომელს მიეცა დისციპლინური სასჯელი? რაზეც მომხსენებელმა ალბერტ ჭანიამ უპასუხა, რომ სექტემბრიდან დეკემბრამდე 1-მა თანამშრომელმა მიიღო საყვედური.

ხდომის თავმჯდომარე, რომან კვარაცხელიამ მიმართა მომხსენებელს, რომ საკრებულოს მიერ ჟურნალში გაგზავნილ წერილებზე გვიანდება ან არა აქვთ არ გვაქვს წერილობითი პასუხები მიღებული. რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ წერილები ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც დარგის კურატორთან ამისამართებს წერილებს და აღნიშნულზე ადმინისტრაციულ სამსახურს ინფორმაცია არა აქვს, თუმცა თვლის, რომ სწორი შენიშვნაა და აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რომან კვარაცხელია/